პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 11 (2054) 15 მარტი პარასკევი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.




## მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი 1931 წლის 2 მარტს დაიბადა სტავროპოლის მხარის კრასნოგვარდეისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში, გლეხის ოჯახში.

ცოტა ხანში 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის შემდეგ 15 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორად. 1952 წელს შევიდა სკკპ რიგებში. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იურიდიული ფაკულტეტი), ხოლო 1967 წელს — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, და მიიღო სწავლული აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობა.

1955 წლიდან მ. ს. გორბაჩოვი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს სტავროპოლის მხარეში: ალკკ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — მეორე და პირველ მდივნად.

1962 წლის მარტში მ. ს. გორბაჩოვი დააწინაურეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად, ხოლო ამავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკპ სამხარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ.

1966 წლის სექტემბერში იგი აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1968 წლის აგვისტოდან მ. ს. გორბაჩოვი მუშაობს სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს პირველ მდივნად.

მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1971 წლიდან. იყო პარტიის XXII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების დელეგატი. 1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. 1980 წლის ოქტომბერში მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაყვანილ იქნა პოლიტბიუროს წევრად. არის სსრ კავშირის VIII-XI მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ X-XI მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომლებიც მისთვის პარტიას მიუნდვია, შრომობს მისთვის ჩვეული ინიციატივით, ენერგიითა და თავდადებით, თავის ცოდნას, მდიდარ გამოცდილებასა და ორგანიზატორულ ნიჭს ახმარს პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, უანგაროდ ემსახურება ლენინის დიად საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული ღვაწლისთვის მ. ს. გორბაჩოვი დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

## საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1985 წლის 11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პლენუმის მონაწილეებმა გლოვის წუთიერი დუმილით სცეს პატივი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თანამიმდევარი მებრძოლი კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი ყველგან მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა სკკპ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დიდ ყურადღებას უთმობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმ კურსის თანამიმდევრულ გატარებას, რომელიც მიზნად ისახავდა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომ ამაღლებას, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცებას.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ დიდი წვლილი შემატა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცებას. მისი ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

თვალისჩინივით უფრთხილდებოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფვოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა ადამიანები სრულიად საფუძვლიანად რაცხენ პარტიას საზოგადოების ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ახლობელ-ნათესავებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის შესახებ.

პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა პოლიტბიუროს წევრმა ამხ. ა. ა. გრომიკომ. მან შეიტანა წინადადება აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხულოვნად აირჩია ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი. მან ულრმესი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გაწეული დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ძალზე კარგად ესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამასთან დაკავშირებით.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ერთგულად ემსახუროს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს სკკპ საპროგრამო მითითებები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევარი მებრძოლი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს მთელი სიცოცხლე მოხმარდა ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი უცვლელად, მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის რიგებშიც იყო ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს.

კომკავშირული წინამძღოლიდან და სასაზღვრო საგუშაგოს პარტორგიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნამდე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე — ასეთია კ. უ. ჩერნენკოს ცხოვრების გზა. პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე მთელი სისავსით გამოვლინდა მისი როგორც ორგანიზატორის, ლენინური ტიპის ხელმძღვანელის ნიჭი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მასების შემოქმედებითი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ 1985 წლის 10 მარტს 19 საათსა და 20 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

### კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, კომუნიზმის იდეალებისათვის, მშვიდობისათვის მტკიცე მებრძოლის სახელი სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

# საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის სახელით დიდ სამძიმარს გამოთქვამენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, კომუნიზმის იდეალების მტკიცე მებრძოლის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს გარდაცვალების გამო.

დიდია დანაკლისი, რომელიც ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ქვეყანამ განიცადეს. უსაზღვროა მთელი საბჭოთა ხალხის მწუხარება. კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალების ამბავმა უაღრესად დიდად ატკინა გული ყველა საბჭოთა ადამიანს, და საბჭოთა საქართველოს თითოეული მშრომელი ღრმად განიცდის ამ უდიდეს დანაკლისს.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მკაფიო, დაუვიწყარი კვალი დატოვა ქვეყნის ცხოვრებაში, თითოეული კომუნისტის, თითოეული საბჭოთა ადამიანის გულსა და მეხსიერებაში.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო დღენიადაგ უდიდეს ყურადღებას უთმობდა სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებასა და ეფექტიანობის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და პოლიტიკური აქტიურობის განვითარებას, იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფას, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის შემდგომ განმტკიცებას. და ჩვენ ყოველნაირად ვიბრძოლებთ, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი — ჩვენს ქვეყანაში აშენებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსი, როგორც ამას ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მოგვიწოდებდა.

ამ გლოვის დღეებში, ისევე როგორც ყოველთვის უმძიმეს მომენტებში, პარტია კიდევ უფრო რაზმავს თავის რიგებს ლენინური სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს გარშემო.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ახსოვთ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ყოფნა საქართველოში, ქალაქ თბილისისათვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს მის მიერ გამოთქმული რჩევა-დარიგებანი და მითითებანი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნის პატივსაცემად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, მთელი ჩვენი ხალხი კიდევ უფრო ამტკიცებენ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, თავიანთ ერთიანობასა და მონოლითურობას, ამაღლებენ შრომითსა და პოლიტიკურ აქტიურობას.

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი აღუთქვამენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განახორციელონ ლენინური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, კომუნისტური მშენებლობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის გეგმები, რომლებსაც მთელი ნათელი სიცოცხლე შეალია კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ.

| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
|---|---|---|



# კ. უ. ჩერნენკოს დაკრძალვა

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა 13 მარტს გამოეთხოვნენ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

...12 საათია. დარბაზში რჩებიან კ. უ. ჩერნენკოს ნათესავები და ახლობლები. დგება გამოთხოვების უკანასკნელი წუთები.

ჟღერს სამგლოვიარო მელოდიები. კ. უ. ჩერნენკოს კუბო გამოაქვთ სვეტებიან დარბაზიდან და საარტილერიო ლაფეტზე დგამენ. კორტეჟი წითელი მოედნისაკენ მიემართება.

კ. უ. ჩერნენკოს კუბოს მწუხარე დუმილით სამგლოვიარო პროცესიაში მიჰყვებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები, დამკრძალავი კომისიის წევრები, განსვენებულის ნათესავები და ახლობლები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

...წითელი მოედანი. მწუხარე დუმილით გარინდულა აქ სამგლოვიარო მიტინგზე მოსული ათასობით მოსკოველი. მწყობრში დგანან მოსკოვის გარნიზონის ჯარების ნაწილები. მათ კოლონებს დაუხრიათ საბრძოლო დროშები.

სამგლოვიარო პროცესია მავზოლეუმს უახლოვდება. კუბო ლაფეტიდან კვარცხლბეკზე გადააქვთ.

ტრიბუნებზე ადიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხედართმთავრები, წარმოების მოწინავენი.

აქვეა მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი, რომლებიც კ. უ. ჩერნენკოს დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ.

დაკრძალვას ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ვ. გრიშინს.

გამოდის კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ლეგოსტაევსკის“ მექანიზატორი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ს. ს. ციგლიმოვი.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს პ. ნ. ფედოსეევს.

მიკროფონთან არის სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. მიშინი.

სამგლოვიარო მიტინგი დახურულად ცხადდება. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები მიდიან კვარცხლბეკთან, რომელზეც კ. უ. ჩერნენკოს კუბო ასვენია. პროცესია კრემლის გალავნისკენ მიემართება.

13 საათი და 40 წუთი. კუბოს განსვენებულის ნეშტით საფლავში უშვებენ.

ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი და ქუხს საარტილერიო ზალპები. ამავე დროს საარტილერიო სალუტი მიცემულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ-ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, ნოვოსიბირსკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოროსიისკში, ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, კრასნოიარსკში.

ქვეყანა გლოვობს: ხუთი წუთით შეჩერდა საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობა. ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინიგზებზე, საზღვაო და სამდინარო ფლოტის გემებზე მიცემულ იქნა საყვირებით სამწუთიანი სალუტი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები კვლავ ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან.

მავზოლეუმის წინ მტკიცე ნაბიჯით ჩაიარეს მოსკოვის გარნიზონის ჯარის ნაწილებმა. მათ უკანასკნელი მხედრული პატივი მიაგეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელს.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კომუნისტების, საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

# მიმართვა

## კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

(დასასრული)

აქტიურობის შემდგომი ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების კურსი. პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების, საკადრო პოლიტიკის, საბჭოების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის საქმიანობის გააქტიურების, სკოლის რეფორმის, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის ამაღლების საკითხები. წარმოებს აქტიური მუშაობა სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოსამზადებლად, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესამუშავებლად.

საერთაშორისო ასპარეზზე პარტიის მეცადინეობა უმთავრესად ხმარდებოდა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. კ. უ. ჩერნენკოს მოღვაწეობასთან დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, გადაჭრით უკუაგდებდნენ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების აგრესიულ ზრახვებსა და მისწრაფებებს, დაუცხრომლად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის, ხალხების საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კომუნისტებს, საბჭოთა ხალხს მოუწოდებენ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომელები სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად. პარტიის ყველა საქმე და განზრახვა მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესებისადმი, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შეიარაღებულია უკვდავი რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. იგი განუხრელად მიაბიჯებს ლენინის მიერ დასახული გზით და ამ გზას არასოდეს არ გადაუხვევს.

პარტია კვლავაც განახორციელებს განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსს. მას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად მიაჩნია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების საფუძველზე. მთელი სიმტკიცით სულ უფრო სრულად განხორციელდება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის პრინციპი, განუხრელად გატარდება ქვეყნის მშრომელთა მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებულობის განმტკიცების გეზი. პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირს, საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობას, რაც ჩვენი საზოგადოების ცხოველქმედობის საფუძველს წარმოადგენს, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას. პარტიას საბჭოთა ადამიანების უზენაეს სულიერ ღირებულებებად მიაჩნდა და მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, კოლექტივიზმი, პატრიოტიზმი, პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ხმარობენ სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებისათვის, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცებისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვინდა და განუხრელად ვესწრაფვით გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას. ჩვენი საბოლოო მიზანია ბირთვული იარაღის სრული მოსპობა მთელ პლანეტაზე, ბირთვული ომის საფრთხის სრული აღმოფხვრა. საბჭოთა კავშირი უცვლელად ილტვოდა და ილტვის კონსტრუქციული დიალოგისათვის, ისეთი პრაქტიკული ღონისძიებებისათვის, რომელთა მეშვეობითაც შემცირდება საერთაშორისო დაძაბულობა, დამყარდება ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო.

საბჭოთა კავშირი არავის ემუქრება და არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას. მაგრამ იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ ან სახელმწიფოთა კოალიციამ მოიპოვოს ასეთი უპირატესობა. აი, ამიტომ ჩვენ კვლავაც დაუცხრომლად გავაძლიერებთ სიფხიზლეს, განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენი სიმპატიები და მხარდაჭერა იმ ხალხების მხარეზეა, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელად ერთგულობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალების ყოველნაირად შეკავშირების თანამიმდევრულ კურსს.

პარტიის მიზნები ნათელი და კეთილშობილურია. მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უსაზღვრო ნდობა მოაპოვებინეს. ხალხთან ერთიანობაა პარტიის ძალა. პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობაა ხალხის ძალა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგულ სამსახურს შეალია, სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში. იგი დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, როგორც გულისხმიერი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, როგორც მშრომელი ადამიანების საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უაღრესად ყურადღებიანი ადამიანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოავლენენ დიდ შეგნებულობასა და ორგანიზებულობას, იშრომებენ მეტი ენთუზიაზმითა და თავდადებით, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას, ღირსეულად ატარებენ დიდი ოქტომბრის დროშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 მარტის პლენუმზე

**ძვირფასო ამხანაგებო!** ყოველ ჩვენგანს, მთელ ჩვენს პარტიას და ქვეყანას დიდი უბედურება დაატყდა თავს. გარდაიცვალა ერთგული ლენინელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ფაქიზი სულის, დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე ადამიანი — კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

დიდი და სახელოვანი გზა განვლო კონსტანტინე უსტინის ძემ. ყოველ უბანზე, რომელიც მისთვის პარტიას მიუნდვია, სულ უფრო სრულად ვლინდებოდა მისი ნიჭი, ადამიანებთან მუშაობის უნარი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მთელ თავის ძალასა და ცოდნას ახმარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ზრდას, სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფას, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებასა და დამკვიდრებას.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფვოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობას რაცხდა იგი ყველა წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდრად, შემდგომი წინსვლა-განვითარების საწინდრად.

სტრატეგიული გეზი, რომელიც სკკპ XXVI ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმებზე შევიმუშავეთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვისა და კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს აქტიური მონაწილეობით, კვლავაც უცვლელი დარჩება. ამ გეზის მიზანია დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, სრულვყოთ საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე. საქმე ეხება წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნას. საქმე ეხება საზოგადოებრივი ურთიერთობის, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთობის სისტემის სრულყოფას. საქმე ეხება თვით ადამიანის განვითარებასაც, მისი ცხოვრებისა და შრომის მატერიალური პირობების, მისი სულიერი სახის თვისებრივ გაუმჯობესებას.

ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ გადამწყვეტი შემობრუნება სახალხო მეურნეობის გადაყვანაში ინტენსიური განვითარების რელსებზე. ჩვენ მოკლე ვადაში უნდა მივაღწიოთ, მოვალენი ვართ მივაღწიოთ ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ პოზიციებს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეს.

იმისათვის, რომ უფრო წარმატებით და სწრაფად გადავწყვიტოთ ეს ამოცანა, ჩვენ გვმართებს კვლავაც შეუპოვრად სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი და მართვის მთელი სისტემა. ამ გზით წინსვლისას, ოპტიმალურ გადაწყვეტათა შერჩევის დროს ჩვენ შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური მეურნეობრიობის ფუძემდებელი პრინციპები. ეს კი ნიშნავს — განუხრელად ვახორციელებდეთ ეკონომიკის გეგმიან განვითარებას, განვამტკიცებდეთ სოციალისტურ საკუთრებას, ვაფართოებდეთ საწარმოთა უფლებებს, ვამაღლებდეთ მათს დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას, ვაძლიერებდეთ მათს დაინტერესებას მუშაობის საბოლოო შედეგებით. ეს ნიშნავს დავუქვემდებაროთ მთელი ეკონომიკური განვითარება, საბოლოო ანგარიშით, საბჭოთა ადამიანების ინტერესებს.

პარტია განუხრელად განახორციელებს სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მან შეიმუშავა. ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის — ამ საპროგრამო დებულებას სულ უფრო ღრმა და კონკრეტული შინაარსი უნდა ენიჭებოდეს. გასაგებია, რომ ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება უნდა ეფუძნებოდეს საერთო საქმეში მისი წვლილის ზრდას. იქ, სადაც ამ პრინციპს გადახვევებს ურიგდებიან, გარდაუვალად ირღვევა სოციალური სამართლიანობა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების ერთიანობისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახლავთ.

პარტიას საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირეულ ამოცანად მიაჩნია დემოკრატიის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება. ამოცანები აქ მრავალმხრივია, ამ თვალსაზრისით ბევრი რამ კეთდება. მხედველობაში მაქვს საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება, პროფკავშირების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის, შრომითი კოლექტივების აქტივიზაცია. მაგრამ კიდევ მოგველის მტკიცე მუშაობა როგორც დასახული, ისე ახალი მიმართულებებით.

სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება განუყრელად არის დაკავშირებული საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებასთან. აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის მანიშნებელია ის, თუ როგორ მონაწილეობენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დიდი თუ მცირე პრობლემების გადაჭრაში, როგორ ირჯებიან, როგორ იბრძვიან ისინი ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანების შრომითი და სოციალური აქტიურობის ამაღლება, დისციპლინის განმტკიცება, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გამომუშავება — აი, რა არის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა.

ამასთან კვლავაც განხორციელდება გადამწყვეტი ღონისძიებები, რათა კვლავაც დამყარდეს წესრიგი, გაიწმინდოს ჩვენი ცხოვრება უცხო მოვლენებისაგან, საზოგადოებისა და მის მოქალაქეთა ინტერესების ყოველგვარი ხელყოფისაგან. განმტკიცდეს სოციალისტური კანონიერება. ამ საქმეში საბჭოთა სახელმწიფო მტკიცე და თანამიმდევრული უნდა იყოს.

მოვალენი ვართ კვლავაც გავაფართოოთ საჯაროობა პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით. ჩვენმა პრაქტიკამ მთლიანად დაადასტურა ეს დასკვნა. რაც უფრო უკეთ არიან ინფორმირებული ადამიანები, მით უფრო შეგნებულად მოქმედებენ ისინი, მით უფრო აქტიურად უჭერენ მხარს პარტიას, მის გეგმებსა და საპროგრამო მიზნებს.

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი კურსი ნათელი და თანამიმდევრულია. ეს არის მშვიდობისა და პროგრესის კურსი.

პარტიისა და სახელმწიფოს პირველი მცნებაა ვუფრთხილდებოდეთ და ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ ძმურ მეგობრობას ჩვენს უახლოეს თანამოსაგრეებთან და მოკავშირეებთან — დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გავაფართოოთ თანამოქმედება სოციალისტურ სახელმწიფოებთან, ავამაღლოთ სოციალიზმის როლი და გავლენა მსოფლიო საქმეებში. ვისურვებდით, სერიოზულად გაუმჯობესებულიყო ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, და მიგვაჩნია, რომ ნაცვალგების პირობებში ეს სავსებით შესაძლებელია.

საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს ხალხთა ბრძოლას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. დღესაც, ჩვენი სიმპათიები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების მხარეზეა, რომლებიც დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური განახლების გზას ადგანან. მათ მეგობრებად და პარტნიორებად მივიჩნევთ მტკიცე მშვიდობის, ხალხთა შორის უკეთესი, სამართლიანი ურთიერთობისათვის ბრძოლაში.

რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, მინდა ვთქვა შემდეგი: ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ კურსს. კეთილ ნებას საბჭოთა კავშირი მუდამ უპასუხებს კეთილი ნებით, ნდობას — ნდობით. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სამშობლოსა და მისი მოკავშირეების ინტერესებს არასდროს დავთმობთ.

ჩვენ ვაფასებთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წარმატებებს, რომლებიც 70-იან წლებშია მიღწეული და მზად ვართ ვმონაწილეობდეთ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი, ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის მოგვარების პროცესის განგრძობაში, რომელიც თანასწორუფლებიანობის, ორმხრივი პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საწყისებზე განხორციელდება. ამ მიმართულებით გადადგმული ახალი ნაბიჯებით შევძლო ღირსეულად აღვენიშნა ჰიტლერულ ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმზე დიადი გამარჯვების ორმოცი წლისთავი.

კაცობრიობა ჯერ არასდროს მდგარა ისეთი საშინელი საფრთხის წინაშე, როგორიც დღეს არის, შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გონივრული გამოსავალია მოპირისპირე ძალები მორიგდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ გამალებულ შეიარაღებას — უწინარეს ყოვლისა, ბირთვულს — დედამიწაზე, და არ დაუშვებენ მას კოსმოსში. მორიგდნენ პატიოსან და თანასწორუფლებიან საფუძველზე, ისე, რომ არ მოუნდომონ მეორე მხარეს „ჯობნა" და თავისი პირობების თავსმოხვევა. მიაღწიონ მორიგებას, რომელიც ყველას დაგვეხმარება მივუახლოვდეთ ნანატრ მიზანს — ბირთვული იარაღის სრულ მოსპობას და სამუდამო აკრძალვას, ბირთვული ომის საფრთხის სრულ აღკვეთას. ამაში მტკიცედ ვართ დარწმუნებული.

ხვალ ჟენევაში იწყება მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის მიდგომა ამ მოლაპარაკებისადმი. შემიძლია მხოლოდ ერთხელ კიდევ დავადასტურო: ჩვენ არ ვესწრაფვით ცალმხრივი უპირატესობის მიღწევას შეერთებული შტატების, ნატოს ქვეყნების წინაშე, არ ვესწრაფვით სამხედრო უპირატესობის მოპოვებას მათთან შედარებით; ჩვენ გვინდა, კი არ გაგრძელდეს, არამედ შეწყდეს გამალებული შეიარაღება და ამიტომ წინადადებას ვაყენებთ გავყინოთ ბირთვული არსენალები, შევწყვიტოთ რაკეტების შემდგომი განლაგება; ჩვენ გვინდა, კი არ შეიქმნას ახალ-ახალი სისტემათა იარაღი, იქნება ეს კოსმოსში თუ დედამიწაზე, არამედ — ნამდვილად და მნიშვნელოვნად შემცირდეს დაგროვილი შეიარაღება.

ვისურვებდით, ჟენევის მოლაპარაკების მონაწილე ჩვენს პარტნიორებს გაეგოთ საბჭოთა კავშირის პოზიცია და თანხმობით ეპასუხოთ. მაშინ შეთანხმება შესაძლებელი გახდებოდა. და მსოფლიოს ხალხები შვებით ამოისუნთქავდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი ბუნებით ინტერნაციონალური პარტიაა. ჩვენს საზღვარგარეთელ თანამოაზრეებს შეუძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდნენ: მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ლენინის პარტია, როგორც ყოველთვის, მჭიდროდ ითანამშრომლებს მოძმე კომუნისტურ, მუშათა, რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებთან, ილვაწებს მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობისა და აქტიური თანამოქმედებისათვის.

ამხანაგებო! ჩვენს წინაშე მდგომი რთული ამოცანების გადაწყვეტა გულისხმობს პარტიის შემდგომ განმტკიცებას, მისი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლის ამაღლებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს იმ ლენინური დებულებით, რომ პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა. ასეთი პოლიტიკა, რომელიც კოლექტიურად მუშავდება, თანამიმდევრულად და განუხრელად განხორციელდება. პარტია სწორედ ის ძალაა, რომელსაც შეუძლია გაითვალისწინოს ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ინტერესები, შეაკავშიროს და გააერთიანოს ისინი, მოახმაროს ხალხის მთელი ენერგია კომუნისტური აღმშენებლობის საერთო საქმეს.

პარტიის პოლიტიკა ემსახურებოდა და მოემსახურება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებას, ჩვენი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობის განუხრელ დამკვიდრებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველმხრივ განავითარებს ახალგაზრდობის შემოქმედებით ინიციატივას, არ მოაკლებს მზრუნველობას ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ომისა და შრომის ვეტერანთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში დღეს განსაკუთრებით საჭიროა ვიქონიოთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა ისეთ დონეზე, რომ პოტენციურმა აგრესორებმა კარგად იცოდნენ:

საბჭოეთისა და მისი მოკავშირეების უშიშროების, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი ცხოვრების ხელყოფა — წააწყდება შემმუსვრელ საპასუხო დარტყმას. ჩვენს სახელოვან შეიარაღებულ ძალებს კვლავაც ყველაფერი ექნებათ საამისოდ.

ახლა ფართოდ მიმდინარეობს მზადება სკკპ XXVII ყრილობისათვის. ყრილობაზე განვიხილავთ პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას, განვსაზღვრავთ შემდეგი ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს.

დრო მოითხოვს, რომ დაძაბულ, შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდეს ყველა პარტიული ორგანიზაცია, თავიდან ბოლომდე. ყველა უბანზე, ყველგან და ყველაფერში კომუნისტები სამაგალითონი უნდა იყვნენ მოქალაქეობრივი ვალის მოხდით, საზოგადოების საკეთილდღეო კეთილსინდისიერი შრომით, ყველგან ამკვიდრებდნენ მუშაობის ლენინურ სტილს. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხებათ პარტიის კადრებს, პარტიულსა და სახელმწიფო ხელმძღვანელებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად გაატარებს მომთხოვნელობის გაძლიერების, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების გეზს.

პლენუმის დამთავრების შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრები, საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, პლენუმის ყველა მონაწილენი თავთავიანთ ადგილებს მიაშურებენ, რათა ახალი ენერგიით მოჰკიდონ ხელი საქმეს. საქმე კი ბევრი გვაქვს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა წარმატებით დავამთავროთ მუშაობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლევანდელი გეგმების შესასრულებლად და ამით უზრუნველვყოთ მომდევნო ხუთწლედის მტკიცე სტარტი.

მკაცრმა ზამთარმა რამდენადმე დააბრკოლა საგეგმო დავალებათა რეალიზაცია მთელ რიგ დარგებში. მაშასადამე, ახლა საჭიროა დავირაზმოთ, თავი მოვუყაროთ რეზერვებს, დავძაბოთ მთელი ძალები, რათა შევავსოთ ხარვეზი და წლის დამლევს მივაღწიოთ დასახულ მიჯნებს.

ამხანაგებო! ამ დღეებში ჩვენ კიდევ უფრო მწვავედ ვგრძნობთ, რაოდენ მძლავრი და მონოლითურია კომუნისტთა რიგები, რაოდენ დარაზმული და ერთიანია ჩვენი საბჭოთა ხალხი. ამასწინანდელ არჩევნებში საბჭოთა ადამიანებმა კვლავ ცხადყვეს, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს კურსს. ეს მხარდაჭერა ფრთას გვასხამს და ბევრს გვავალებს.

დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რთული და დიდი მოვალეობა დამაკისრა. კარგად მესმის, რაოდენ დიდია გაწეული ნდობა და რაოდენ დიდია ამასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. იმედი მაქვს, რომ მომავალ მუშაობაში მხარში მედგებიან და აქტიურად დამეხმარებიან პოლიტბიუროს წევრები, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები, საერთოდ, პარტიის ცენტრალური კომიტეტი. თქვენს მრავალმხრივ გამოცდილებაში კონცენტრირებულია ჩვენი ხალხის ისტორიული გამოცდილება. აღგითქვამთ, ამხანაგებო, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ერთგულად ვემსახურო ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ იგებებიან რა სკკპ XXVII ყრილობას, ცენტრალური კომიტეტის გარშემო შეკავშირებული ხალხი და პარტია ყველაფერს იღონებენ, რათა კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი იყოს ჩვენი საბჭოთა სამშობლო, რათა კიდევ უფრო ლაღად გაშალონ ფრთა სოციალიზმის აღმშენებელმა ძალებმა.

# ერთსულოვნად იწონებენ

**საქართველოს** ყველა მშრომელთან ერთად შინაგან საქმეთა თანამშრომლები დიდი ყურადღებით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის მასალებს და დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ პლენუმის გადაწყვეტილებას — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მ. ს. გორბაჩოვის არჩევას. ამ მძიმე დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი მწუხარებით ეთხოვებოდნენ კ. უ. ჩერნენკოს—კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა პარტიისა და ხალხის ერთიანობა. საბჭოთა ადამიანებს თავის პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ თავდადებული შრომით უფრო მეტად განამტკიცონ ქვეყნის ძლიერება.

შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებებს. თითოეული ჩვენგანი დიდი გულისყურით უსმენდა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვას. განსაკუთრებით ყურადსაღებია ჩვენთვის შემდეგი სიტყვები: „საბჭოთა ადამიანების შრომითი და სოციალური აქტიურობის გაზრდა, დისციპლინის განმტკიცება, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გამომუშავება — აი, რა არის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ამასთან უწინდებურად განხორციელდება გადამწყვეტი ღონისძიებები, რათა კვლავაც დამყარდეს წესრიგი, გაიწმინდოს ჩვენი ცხოვრება უცხო მოვლენებისაგან, საზოგადოებისა და მისი მოქალაქეთა ინტერესების ყოველგვარი ხელყოფისაგან, განმტკიცდეს სოციალისტური კანონიერება. ამ საქმეში საბჭოთა სახელმწიფო მტკიცე და თანმიმდევრული უნდა იყოს".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მასში მოცემული დებულებები და დასკვნები დიდ ამოცანებს გვისახავს სამართალდარღვევათა ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები თავდადებით იბრძოლებენ რათა დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებით ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, დიადი გამარჯვების 40 წლისთავს.

**ზ. ჟანდარელი,**
**თბილისის კიროვის რაიონის შს განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის კაპიტანი.**

# ТЕСНЕЕ СПЛОТИМ РЯДЫ

**Наш коллектив, как и все трудящиеся страны, скорбит о кончине выдающегося партийного и государственного деятеля Константина Устиновича Черненко, жизнь которого была целиком посвящена делу коммунизма, борьбе за процветание нашей великой страны.**

**С полным одобрением встретили сотрудники ОВО Зестафонского РОВД решения внеочередного Пленума ЦК КПСС, речь на нем Генерального секретаря ЦК КПСС товарища М. С. Горбачева, в которой перед коммунистами, всеми советскими людьми поставлены важные задачи по ускорению социально - экономического развития страны, совершенствованию всех сторон жизни общества. Пленум ЦК КПСС вновь подтвердил, что наша партия обеспечивает преемственность руководства внутренней и внешней политики. В тесном, нерасторжимом единстве ленинской партии и советского народа — сила нашего общества.**

**Отдавая дань светлой памяти Константина Устиновича Черненко, сотрудники ОВО Зестафонского РОВД заверяют Центральный Комитет КПСС, что полностью поддерживают внутреннюю и внешнюю политику нашей партии, полны решимости работать еще активнее и целеустремленнее.**

**Ш. ЭДИБЕРИДЗЕ,**
**милиционер ОВО Зестафонского РОВД, сержант милиции, участник Великой Отечественной войны.**

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვატყობინებენ

# სოფლად უსაფრთხო მოძრაობისათვის

**საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით გასულ წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის სხვა ორგანიზაციებში მოეწყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკავშირო დათვალიერება.**

**აჭარის პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი დადგენილებით შეიქმნა დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტი აჭარის პროფსაბჭოს მდივნის გ. კიკნაძის თავმჯდომარეობით.**

ამ დღეებში გაიმართა დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელმაც გაწეული მუშაობის შედეგები შეაჯამა. აღინიშნა, რომ შარშან არაერთი ქმედითი ღონისძიება განხორციელდა სოფლად მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეწყობოდა რეიდები, პრაქტიკულად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრანსპორტის მუშაკებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების პროპაგანდასა და დაცვაში, სატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და შენახვის ტექნიკური პირობების პროპაგანდაში. ავტომეურნეობებში მძღოლებისა და ტექნიკური პერსონალისათვის იმართებოდა ლექცია-საუბრები თემაზე „აჭარის მთიანეთის რთულ პირობებში სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის" „მოძრავი შემადგენლობის მოვლა და რემონტი", „საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ურთიერთმოქმედება", სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებში უჩვენებდნენ საგზაო მოძრაობის წესებისადმი მიძღვნილ მოკლემეტრაჟიან კინოფილმებს, გასულ წელს 1.924 ასეთი სეანსი მოეწყო.

ავტოინსპექციისა და სხვა უწყებების მონაწილეობით გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ორჯერ შეამოწმეს გზების მდგომარეობა. გარაჟიდან გასვლის წინ ამოწმებდნენ ავტომანქანების ტექნიკურ გამართულობას და, თუ იგი მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, კრძალავდნენ მათს ექსპლოატაციას.

ოპერატიული ვითარების შესაბამისად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების პროფილაქტიკის მიზნით იმართებოდა მძღოლებისა და ავტომეურნეობების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრებები. ხელვაჩაურისა და ქედის რაიონებში ასეთი კრებები ორ-ორჯერ მოეწყო, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ავტოინსპექციის ხელმძღვანელი მუშაკები. ქედის რაიონში გამართულ ერთ-ერთ ასეთ კრებას ესწრებოდნენ შუახევისა და ხულოს რაიონების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საგზაო კანტორების უფროსები. ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების, აჭარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მუშაკები. ასეთივე კრება გაიმართა ქობულეთის რაიონშიც.

ამ და სხვა ღონისძიებების შედეგად გასულ წელს აჭარის ასსრ სოფელ ადგილებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა, გარდაცვლილთა და დაშავებულთა რიცხვი შემცირდა, თუმცა ავტომანქანების, ტრაქტორებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის წესების დარღვევების ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც უნდა გაძლიერდეს, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ უდისციპლინო მძღოლებს, მკაცრად დავიცვათ სატრანსპორტო საშუალებათა მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციის წესები.

# სოცშეჯიბრში გამარჯვებული

**ახლახან** აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების კლუბში შედგა საშუალო და უფროს მეთაურთა თათბირი.

თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი ე. გიორგაძე, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი, მ. თარგამაძე და სხვები.

შეკრებილთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი, შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი ო. ცინცაძე. მან აღნიშნა ის მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს 1984 წელს რესპუბლიკის სახანძრო ნაწილების პირადმა შემადგენლობამ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. № 3 გასამხედროებულ სახანძრო რაზმს, №№ 33, 34 გასამხედროებულ სახანძრო ნაწილებს, ქობულეთის № 15 პროფესიონალურ სახანძრო ნაწილს და სახნძრო გემს „უშიშარი" მიენიჭათ „ფრიადოსანის" საპატიო წოდება.

სიტყვით გამოვიდნენ № 31 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი, შინაგანი სამსახურის მაიორი რ. კობახიძე, № 3 გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში მ. გოგიტაური, რესპუბლიკის ნებაყოფილებითი სახანძრო საზოგადოების თავმჯდომარე შ. ესიავა და სხვები.

დასასრულ, გასული წლის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის № 33-ე გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსს, შინაგანი სამსახურის მაიორს, თ. კვაჭაძეს, სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსმა შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკმა ე. გიორგაძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა მ. თარგამაძემ.

**ე. ჩხაიძე,**
**აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი ინსპექტორი, შინაგანი სამსახურის მაიორი.**



**სურათზე:** რესპუბლიკის შს სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი ე. გიორგაძე გარდამავალ წითელ დროშას გადასცემს გასული წლის სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულ სახანძრო ნაწილის უფროსს, შინაგანი სამსახურის მაიორს თ. კვაჭაძეს.

# ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ

**В связи с 40-летием Победы для участников войны и семей погибших установлены дополнительные льготы, которые вводятся с 1 мая 1985 года.**

Новые льготы предусматривают надбавку к пенсии инвалидам I группы из числа лиц офицерского состава, прапорщиков, мичманов и военнослужащих сверхсрочной службы, ставших инвалидами вследствие ранения, контузии или увечья, полученных при защите СССР или при исполнении иных обязанностей воинской службы, либо вследствие заболевания, связанного с пребыванием на фронте, в размере 50 рублей и инвалидам II группы — в размере 20 рублей в месяц.

Повышается пенсия на 20 рублей в месяц за выслугу лет и пенсионерам из числа лиц офицерского состава, прапорщиков, мичманов, военнослужащих сверхсрочной службы и начальствующего состава Министерства внутренних дел СССР, проходивших службу в воинских частях, штабах и учреждениях, входивших в состав действующей армии в период Великой Отечественной войны и участвовавших в других боевых операциях по защите СССР, в партизанских отрядах и соединениях.

Пенсии в соответствии с настоящим пунктом повышаются: лицам высшего и старшего офицерского состава в пределах 200 рублей, а лицам высшего и старшего начальствующего состава органов МВД СССР в пределах 180 рублей в месяц, младшего офицерского и среднего начальствующего состава, прапорщикам, мичманам и военнослужащим сверхсрочной службы — в пределах максимальных размеров.

Жены лиц этой категории, если они заняты уходом за детьми умершего кормильца, не достигшим 8 лет, имеют право на пенсию независимо от того, работают они или нет. Пенсии при этом не могут быть ниже (в расчете на каждого нетрудоспособного члена): для семей лиц старшего и высшего офицерского состава — 65 рублей в месяц, младшего офицерского состава — 60 рублей, прапорщиков, мичманов и военнослужащих сверхсрочной службы — 55 рублей в месяц.

Однако пенсия на семью в целом не может превышать установленный максимальный размер.

Освобождаются от уплаты сельскохозяйственного налога семьи, в состав которых входили военнослужащие, умершие вследствие ранения, контузии или увечья, полученных при защите СССР или при исполнении иных обязанностей воинской службы, либо вследствие заболевания, связанного с пребыванием на фронте.

Лицам, осуществляющим уход за инвалидами I группы, время фактического ухода за инвалидом засчитывается в общий трудовой стаж независимо от того, являются ли они членами семьи инвалидов или нет.

Признано целесообразным:

а) повысить на 30 рублей в месяц пенсии инвалидам I группы из числа военнослужащих срочной службы, ставших инвалидами вследствие ранения, контузии или увечья, полученных при защите СССР, или при исполнении иных обязанностей воинской службы, либо вследствие заболевания, связанного с пребыванием на фронте, и на 20 рублей инвалидам II группы (повышение им пенсии может производиться сверх установленного максимального размера;

б) установить, что жены лиц этой категории, если они заняты уходом за детьми умершего кормильца, не достигшим 8 лет, имеют право на пенсию, независимо от того работают они или нет;

в) назначить пенсию по случаю потери кормильца в размере не менее 45 рублей в месяц на каждого нетрудоспособного члена семьи.

Кроме вышеуказанных льгот, инвалидам войны предоставляются льготы по оплате лекарств, жилой площади, коммунальных услуг, за проезд и др.

**И. ГАБАИДЗЕ,**
**кандидат юридических наук.**

# Лицо «свободного» мира

В Италии идет самый крупный судебный процесс за всю историю страны. Обвиняемым не хватило места ни в одном здании суда — их 640 человек. Процесс приходится вести по частям. Рассматривается дело о воровском гнезде «Нуова коморра организата», специализирующемся на прямом вымогательстве и шантаже, на торговле наркотиками.

Само название воровского мира, в которое входит слово «организата» (организованная), свидетельствует о том, что дело с бесцеремонным выколачиванием денег силой, продажей наркотиков и другими гангстерскими методами поставлено на широкую ногу. Тут и контроль за питейными и другими развлекательными заведениями, за игорными домами и кража детей с целью получения выкупа, организация подкупа полиции и тюремной стражи на случай заточения отдельных мафиози в тюрьму. Словом, полная копия деятельности таких полууголовных, полутеррористических организаций, как «Красная бригада» или «Прима Линеа». Наряду с ними «Нуова каморра организата» входит в воровской синдикат «Нуова Фамилья» («Новая семья»). В «семье» беспрестанно вспыхивают скандалы на почве неравномерного распределения гангстерских доходов, которые заканчиваются порой ожесточенными потасовками со смертельным исходом. За последние четыре года в таких «семейных» вооруженных схватках было убито две тысячи человек.

Среди обвиняемых на суде оказалась довольно разношерстная компания: на одну и ту же скамью подсудимых сели такие известные в Италии и Европе люди, как депутат Европейского парламента от партии радикалов Энцо Тортора, многие внешне добропорядочные адвокаты и дельцы, ультраправый террорист Луиджи Конкутелли и даже священник Мариано Сантини, бывший патер при тюрьме Асколи. Рассказывают, что этот благообразный в миру богослужитель убедил турецкого террориста Али Агджу, того самого, который покушался на папу римского, направить итальянское правосудие по ложному следу и предъявить обвинение невинному болгарскому гражданину Антонову.

Против волны уголовных преступлений в стране все активней выступают прогрессивные силы, среди которых видное место сразу же заняли коммунисты. Тысячи молодых людей из бедных кварталов Неаполя приняли участие в грандиозных манифестациях протеста против безнаказанной продажи наркотиков, гангстерской деятельности «Нуова каморра организата». В Палермо в таких манифестациях приняли участие пять тысяч лицеистов.

Только такое всенародное движение может нанести ощутимый удар по уголовной преступности в Италии, принявшей необычный размах в последнее время.

**Александр МЕЛЬНИКОВ.**
**(АПН).**

# შეხვედრები შრომით კოლექტივებთან

**საზოგადოების** განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტია და მთავრობა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს შინაგან საქმეთა ორგანოებს. ქვეყანაში მართლწესრიგის განსამტკიცებლად მიზანდასახული მუშაობისათვის; ამასთან ერთად სათანადო ყურადღებას უთმობს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში შრომითი კოლექტივების აქტივიზაციას და შინაგან საქმეთა ორგანოების მჭიდრო კონტაქტებს მოსახლეობასთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, შს ტყიბულის საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკები მიმდინარე წლის იანვრის თვეში შრომითი კოლექტივების წინაშე ანგარიშებით გამოვიდნენ.

ასეთი შეხვედრა მოეწყო შემდეგ კოლექტივებთან, ქ. ტყიბულის ცენტრალურ საბინაო სამმართველოსთან, ორჯონიკიძის სახ. შახტის, მუშათა მომარაგების განყოფილების, ტყიბულის ჩაის ფაბრიკის, რაიკოოპერატივის გამგეობისა და № 22 საგზაო--სამშენებლო უბნის შრომით კოლექტივებთან, შეხვედრებზე მონაწილეობა მიიღო 800-ზე მეტმა მუშა-მოსამსახურემ.

შრომით კოლექტივებთან შეხვედრები ჩატარდა მეტად საქმიან ვითარებაში. მშრომელებმა დიდი დაინტერესება გამოიჩინეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოძრაობის უსაფრთხოების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის, დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხებით.

შეხვედრებზე მშრომელთა მიერ გამოთქმული იქნა წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება მომავალ საქმიანობაში დიდად შეუწყობს ხელს ზონის ტერიტორიაზე ოპერატიული ვითარების კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

საბჭოთა ორგანოების მითითების შესაბამისად, შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს კავშირი მოსახლეობასთან და საინტერესოდ წარმართოს შრომით კოლექტივებთან შეხვედრები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

**თ. ცქიფურიშვილი**
**ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 08517